ელექტროგადამცემი ხაზების პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები

თინათინ არველაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე ბუნებათსარგებლობის (MBA) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

ბუნებათსარგებლობა (MBA)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ირაკლი მაჭარაშვილი;
ანალიტიკოსი ქეთევან გუჯარაიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია დადგინდეს ელექტროგადამცემი ხაზების პროექტების განხორციელებისას ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები, გამოვლინდეს სისტემური პრობლემები. განისაზღვროს, რამდენად უზრუნველყოფს არსებული კანონმდებლობა ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების/ინტერესების დაცვას.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ელექტროგადამცემი ხაზების პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტები დაბალი ხარისხისაა, არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქმიანობის განმახორციელებელი არ უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების სათანადო ჩართვას. პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან გათავისუფლებით, ირღვევა ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის უფლებები/ინტერესები.

გადამცემი ხაზები ზემოქმედებას ახდენს მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ეკოსისტემებზე და დაცულ ტერიტორიებზე. ხდება ტყის საფარის ჭრა, მათ შორის, „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობების გარემოდან ამოღება და ფრინველების საბინადრო ადგილის განადგურება.

დღეისათვის, საქართველოს კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული ის რეგულაციები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანების ჯანმრთელობაზე ელექტრომაგნიტური ველის ზემოქმედებასთან (ძველი რეგულაციები გაუქმდა 2007 წელს, ხოლო ახალი ჯერჯერობით არ დამტკიცებულა).

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გადამცემი ხაზის პროექტების განხორციელებისას ხდება იძულებითი განსახლება, კერძო მესაკუთრეებისთვის საკუთრების უფლების შეზღუდვა.